პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 აგვისტო, ხუთშაბათი, 1986 წ.
№ 158 (9319) ◉ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტსმენისადმი ყურადღება

ისინი მრავლად არიან, ჩვენი ხალხის, ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები, ადამიანები, რომლებიც უსაზღვრო პატივისცემით სარგებლობენ საზოგადოებაში, შორს გააქვთ არა მარტო ქართული სპორტის, არამედ, საერთოდ, ჩვენი ხალხის კეთილი სახელი, ისინი ჩვენი კულტურისა და რაინდული თვისებების პროპაგანდისტებიც არიან.

საზოგადოება ზრუნვა-ყურადღებას და გულის სითბოს არ აკლებს ასეთ სპორტსმენებს, მაგრამ ამავე დროს ხალხი ვერც იმას ითმენს, როცა ეს ყურადღება დაუმსახურებელ კეთილდღეობაში გადადის, საზღვრებს სცილდება, და, ცხადია, დამღუპველად მოქმედებს ზოგიერთ ნიჭიერ და პერსპექტიულ სპორტსმენზე.

სპორტი ჩვენს ეპოქაში წარმოუდგენლად სწრაფად გაახალგაზრდავდა. ახლა თითისტოლა ბავშვები გამოდიან დიდ სარბიელზე და „ავიწროებენ" წარსულში მრისხანე ავტორიტეტებსაც კი. ეს ცეროდენები დროს, საკუთარ ასაკსაც კი უსწრებენ. მაგრამ წარმატება თავისთავად ხომ არ მოდის. სპორტი დაწინაურდა ინტენსიური წვრთნის, შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენის ხარჯზე, რასაც მეცნიერება უმაგრებს ზურგს.

სპორტსმენი, ცხადია, ჩვეულებრივი ადამიანია, მაგრამ იგი იძულებულია უარი თქვას ბევრ ადამიანურ სიამოვნებაზე, რათა დაიცვას რეჟიმი, ხელი არ შეეშალოს მაღალი შედეგების მიღწევაში. სპორტსმენებისათვის ხელშეწყობა კი ზოგჯერ ჩვეულებრივ ადამიანურ ყურადღებაშიც ვლინდება. ახლა მისაღები გამოცდები მიმდინარეობს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში, აბიტურიენტთა შორის კი, ცხადია, რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენებიც არიან. სპორტსახკომში, „ლელოს" რედაქციაში განუწყვეტლივ მოდიან მშობლები, თვით აბიტურიენტი-სპორტსმენები — გვთხოვენ მადლობა ვუთხრათ უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებს იმ ყურადღებისათვის, რასაც ისინი იჩენენ რესპუბლიკის მოწინავე სპორტსმენებისადმი.

საზოგადოებრიობამ კარგად იცის, რომ ნიჭიერი სპორტსმენების მიმართ ყურადღების გამოჩენა მხოლოდ სპორტული ორგანიზაციების მოვალეობა არ არის. მაგრამ არ დავმალავთ, ზოგჯერ სწორედ სპორტის მუშაკთა შორის, თანაც ხელმძღვანელ მუშაკთა შორის გამოჩნდებიან ხოლმე ისეთები, რომელთა გულგრილობა და დამოკიდებულება ამა თუ იმ სპორტსმენისადმი გამოუსწორებელი შეცდომის მიზეზიც კი ხდება. ისინი ცუდ მაგალითს აძლევენ სხვებს, როცა საქმე წამყვან სპორტსმენებზე ზრუნვა-ყურადღებას ეხება.

ვამბობთ ამას და უმალვე გვახსენდება ერთი ნიჭიერი სპორტსმენი აბესალომ რამიშვილი — აფროსანი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ ქვეყნის ნაკრები გუნდის რეალური კანდიდატი იყო. მაგრამ სპორტსმენის ბედით, მის წინაშე მდგარი პრობლემებით არ დაინტერესდა აჭარის სპორტკომიტეტი, პირადად სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ზ. მამუჩაძე, და ყმაწვილი ჩრდილში მოექცა. ჭაბუკი სპორტსმენი მარტო აღმოჩნდა. ვარჯიშითაც კი მეტწილად მწვრთნელის გარეშე ვარჯიშობდა. ახლახან იგი რესპუბლიკის აფროსანთა გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე და XI ადგილი დაიკავა. როცა საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელობამ ზ. მამუჩაძეს შეახსენა, რომ სპორტსმენის მიმართ უყურადღებობას იჩენდა, მან გადაჭრით განაცხადა — რამიშვილი ჩვენი სპორტსმენი არ არის, აფხაზეთიდან გამოდისო. განა რამდენი წარმომადგენელი ჰყავს აჭარას რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში, რომ თავმჯდომარე საქმეში ვერ გარკვეულა? ძალიან ცოტა, ხელმძღვანელმა კი მათი ვინაობაც არ იცის. სპორტის თავკაცის უპასუხისმგებლობა ალბათ ამაზე შორს ველარ წავა.

სპორტსმენისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, სითბო, მათი საზრუნავის გულთან ახლოს მიტანა, უბრალოდ, ადამიანური ყურადღება ის თავისებური სტიმულია, ახალი სპორტული სიმაღლეების დასალაშქრავად აუცილებლად რომ სჭირდება სპორტსმენს.

ნუ მოვაკლებთ ამ სტიმულს ჩვენს სახელოვან ათლეტებს.

ევროპის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის

# თენგიზ თედორაძე — ევროპის ჩემპიონი



დაიბადა 1967 წელს ბათუმში.
წონა 90 კგ, სიმაღლე 190 სმ.
საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" წევრი.
მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები დავით დავითაია და აფანას სევასტოვი.
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.
საუკეთესო შედეგები: მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადისა და ჭაბუკთა I საკავშირო თამაშების ჩემპიონი, „მეგობრობა-85"-ის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, პოდუბნის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი, ევროპის 1986 წლის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის.

**მალმიო.** შვეციის ამ ქალაქში ჩატარდა იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. ოქროს მედლებისთვის 19 ქვეყნის 120-ზე მეტი ათლეტი იბრძოდა. გუნდური გამარჯვება საბჭოთა „კლასიკოსებმა" მოიპოვეს (შვიდი ოქროს და თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი) — 53 ქულა. მეორე ადგილზე გავიდნენ ბულგარეთის (29 ქულა), მესამეზე — რუმინეთის (24 ქულა) წარმომადგენლები.

ევროპის ჩემპიონის სახელი სხვებთან ერთად თბილისელმა თენგიზ თედორაძემაც მოიპოვა: 90 კგ. წონით კატეგორიაში იგი უძლიერესი იყო. ოქროს მედლები მოიპოვეს ასევე: 48 კგ. ი. პეტრენკომ, 52 კგ — ვ. კოლესნიკმა (ორივე — სსრ კავშირი), 57 კგ. — ბ. რენკომ (იუგოსლავია), 62 კგ. — კ. ილევმა (ბულგარეთი), 68 კგ. — პ. კარარემ (რუმინეთი), 74 კგ. — ნ. პალაზნიკმა, 82 კგ — ვ. ოლიენიკმა, 100 კგ. — ო. ოცულამ, 130 კგ. — ა. კარელინმა (ყველა — სსრ კავშირი).

საბჭოთა სპორტსმენთაგან ვერცხლის ჯილდო ი. დუმუშიევს (68 კგ) ხვდა, ბრინჯაოსი კი ნ. იახიაევს (57 კგ). ჩვენს გუნდში უმედლოდ ლენინაკანელი ა. რუბინიანი დარჩა. 62 კგ. წონით კატეგორიაში იგი მეხუთე იყო.

## საბჭოთა კავშირი და აშშ — ნახევარფინალში

**საბჭოთა** კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში თამაშის უფლება გაინაღდა. მეოთხე შეხვედრა მან კანადის ძლიერ კოლექტივს მხოლოდ ერთი ქულით — 77:76 მოუგო.

მატჩის დასაწყისში ჩვენს გუნდში აქტიური ვეტერანი ო. ბარელი იყო, მაგრამ შვიდ წუთში სამი ჯარიმა მიიღო და მწვრთნელებმა დროებით „დაასვენეს", მოგვიანებით იგი ისევ გამოვიდა მოედანზე, სამი ჯარიმით ითამაშა მთელი მატჩი და გუნდს 22 ქულა შესძინა.

ტაიმი საბჭოთა კალათბურთელებმა 6 ქულით მოიგეს — 45:39. შესვენების შემდეგ ერთ მომენტში სხვაობამ 11 ქულასაც მიაღწია, მაგრამ კანადელებმა ბევ სმითისა და მისტი თომასის აქტიური თამაშით ანგარიში გაათანაბრეს.

მატჩის ბოლო წუთზე ლარისა კილშამ ზუსტი სროლით წინ გაიყვანა გუნდი — 77:74, მაგრამ თომასმა იქვე ორი საჯარიმო გამოიყენა... სპეციალისტთა აზრით საბჭოთა ნაკრები მეტოქეს სჯობდა ფარქვეშ ბრძოლაში და სისწრაფეში, აი, დაცვაში კი ბევრ შეცდომას უშვებდა.

ნახევარფინალში თამაშის უფლება გაინაღდეს აშშ-ს კალათბურთელებმაც, რომლებმაც მეოთხე ტურში ავსტრალიის გუნდი დაამარცხეს — 76:50 (40:22).

# სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

# ჭადრაკის წყვილებიც წინ მიიწევენ

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი დავით კაკაბაძე მოსკოვიდან ტელეფონით გვატყობინებს:

**ჩოგბურთელთა** სასპარტაკიადო ტურნირზე წყვილთა მეოთხეფინალური შეხვედრები გაიმართა. საინტერესოდ წარიმართა მესხისა და მალაციძის შეხვედრა ბელორუსიის წყვილთან — ზვერევასა და შინკორენკოსთან. ჩვენი დუეტი უფრო ტექნიკურად და აზრიანად თამაშობდა, რამაც მას ორ პარტიაში გამარჯვება მოუტანა 6:4, 6:4. ნახევარფინალში მათ ერთობ ძლიერი მეტოქე ეყოლებათ მოსკოველების სალნიკოვასა და ლიფანოვას სახით.

ბრძოლას გამოეთიშა გაბრიჩიძე — კაჭარავას წყვილი, თუმცა მათ ცუდად არ უასპარეზიათ. საქმე ისაა, რომ მოსკოველთა დუეტი ჩესნოკოვი და ოლხოვსკი სასპარტაკიადო ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება და მათთან ბრძოლა არც ისე ადვილია. ჩვენი წყვილი პირველივე სეტში შეეცადა წარმატებისათვის მიეღწია, მაგრამ დამარცხდა — 6:7. მეორე სეტი მოსკოველებმა უფრო ადვილად მოიგეს — 6:3.

კარგად გამოდიან ჩვენი ჩოგბურთელები შერეულ წყვილთა ასპარეზობაში. მესხსა და გაბრიჩიძეს ლენინგრადელებმა ივანოვამ და ფედოლცკიმ სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და დამარცხდნენ — 2:6, 3:6, აი, მალაციძესა და ხურდას კი მძიმე ბრძოლის გადატანა მოუხდათ ხალათიან — შილაჯიანის (სომხეთი) წყვილთან. სამ პარტიაში ჩვენმა ჩოგბურთელებმა გაიმარჯვეს — 3:6, 6:4, 6:3.

მეტოქეები, ცხადია, შემდგომ ეტაპზე უფრო ძლიერები იქნებიან. მესხსა და გაბრიჩიძეს ლატვიელებთან ბლამბერგასა და ძელდესთან მოუწევთ ბრძოლა, მალაციძეს და ხურდას კი — ბიკოვასთან და ოლხოვსკისთან (მოსკოვი).

## ელვა-ინფორმაცია

**გუშინ** ერთეულთა შეხვედრები გაიმართა. ლ. მესხმა დაამარცხა ა. ხალათიანი (სომხეთი) 6:4, 6:2 და ნახევარფინალში გავიდა, სადაც სსრ კავშირის ჩემპიონს ლ. სავჩენკოს (უკრაინა) შეხვდება. მეორე ნახევარფინალში ნ. ბიკოვა (მოსკოვი) და ნ. ზვერევა (ბელორუსია) იასპარეზებენ.

ნახევარფინალში გავიდა ვ. გაბრიჩიძეც, რომელმაც ლატვიელ გ. ძელდეს აჯობა — 6:0, 3:6, 6:2. მისი მომავალი მეტოქე, სსრ კავშირის ჩემპიონი ა. ჩესნოკოვი (მოსკოვი) იქნება.

ი. მალაციძემ, რომელიც IX-XVI ადგილებისთვის იბრძვის, მოუგო ე. ვლადიმირსკაიას (მოლდავეთი) 6:3, 5:7, 6:2, ხოლო ი. მეტრეველი ა. ჩერკასოვთან (რსფსრ) დამარცხდა — 4:6, 7:5, 3:6.



**რ**ოგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამაში შეტანილია სპორტის ტექნიკური სახეობებიც. ამ ასპარეზობებში სხვა რესპუბლიკების სპორტსმენებთან ერთად საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. სპარტაკიადის ჯილდოებს ერთმანეთს შეეცილებიან ავტომოდელისტებიც, რომელთა ასპარეზობაც 17 აგვისტოს დაიწყება თბილისში, ძველი რიყის ტერიტორიაზე და ოთხ დღეს გასტანს. აქვე პარალელურად ჩატარდება სსრ კავშირის ზირადგუნდური ჩემპიონატიც.

იხ. გვ.2 გვ.

სსრ. სახ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობის წინ

# ვეცდებით ფავორიტებად დავრჩეთ

**ორიოდე დღეც და თბილისში, ძველი რიყის ტერიტორიაზე დაიწყება საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა ავტოსამოდელო სპორტში. პარალელურად ჩატარდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიც. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები ბოლო ხაწვრთნელ ვარჯიშებს ატარებს მომავალი ასპარეზობის ადგილზე. ხწორედ აქ შევხვდით საქართველოს ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს თენგიზ ლატარიას.**



**● შეჯიბრების დაწყებამდე რამდენიმე დღე დარჩა. „ორმაგი სტარტებისათვის" მზადება ხუმრობა საქმე არ არის. ჰქონდა თუ არა გუნდს რაიმე პრობლემები გადასაჭრელი მზადების პერიოდში?**

— სპარტაკიადისთვისაც და საკავშირო ჩემპიონატისთვისაც ვემზადებოდით ინტენსიურად. ვარჯიშობდნენ ნაკრების როგორც ძირითადი, ისე სათადარიგო წევრები. მზადების პერიოდში მონაწილეობა მივიღეთ ბაქოსა და ლენინგრადში გამართულ შეჯიბრებებში. აქვე დავძენ, რომ ლენინგრადში მოდელების თითქმის ყველა კლასში ჩვენმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს.

რაიმე სერიოზული პრობლემა გუნდის წინაშე არ მდგარა. ვვარჯიშობდით აქვე, ძველი რიყის ტერიტორიაზე. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, რომ სპეციალური ტრასები გვქონოდა სავარჯიშოდაც და შეჯიბრებების ჩასატარებლადაც. მაგრამ ამაზე ლაპარაკი არც ღირს, რადგანაც ასეთი ტრასა ჯერჯერობით მთელს საბჭოთა კავშირში არ არის და აი, ეს მოედანი, რომელსაც თქვენ ხედავთ, ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება. ერთი სიტყვით, ჩვენც თითქმის ისეთივე პრობლემები გვქონდა გადასაჭრელი, როგორიც სხვა რესპუბლიკების ნაკრებ გუნდებს.

**● საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრებმა მეხამე ადგილი დაიკავა. ცალკეულ კლასებში, პირად ჩათვლაში იყვნენ ჩემპიონებიც. თქვენი აზრით, როგორი შედეგები იქნება ამჯერად?**

— საქართველოს ავტომოდელისტთა ნაკრები, ტრადიციულად, ძლიერ გუნდად, ყველა შეჯიბრების ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება. ამ ასპარეზობებზე ჩვენი მიზანი ხუთეულში მოხვედრაა. წლეულს ეს ბევრად უფრო გაგვიჭირდება. საქმე ის არის, რომ ცოტა ხნის წინ ვილნიუსში უკვე ჩატარდა სასპარტაკიადო და საკავშირო პირველობის შეჯიბრებები საკორდო მოდელებში. ჩვენი სპორტსმენები ძალზე სუსტად გამოვიდნენ და გუნდური მეთორმეტე ადგილი დაიკავეს. ამან მკვეთრად გაგვიუარესა მდგომარეობა საერთო გუნდურ ჩათვლაში. ახლა საჭიროა ძალების სრული მობილიზება და სარბოლო მოდელების ხუთივე კლასში გამარჯვება. სხვაგვარად ხუთეულში მოხვედრა ალბათ არ მოხერხდება.

**● ვის თვლით თქვენს მთავარ მეტოქეებად?**

— როგორც გითხარით, ჩვენი ავტომოდელისტები ყოველთვის ფავორიტებად ითვლებოდნენ. მათი ძირითადი კონკურენტები ყველა რანგის ასპარეზობაში იყვნენ ლიტველი სპორტსმენები. ტრადიციულად ძლიერი ნაკრები გუნდები ჰყავთ უკრაინას, ესტონეთს, რუსეთის ფედერაციას. უკრაინელი სპორტსმენები უკვე აქ არიან და ჩვენთან ერთად ვარჯიშობენ. საკმაოდ ძლიერი გუნდია. ერთი სიტყვით, მეტოქეები სერიოზული გვყავს და ასპარეზობაც, ვფიქრობ, ძალზე დაძაბული იქნება.

**● რას გვეტყვით საქართველოს ნაკრების შემადგენლობაზე?**

— საბოლოო შემადგენლობა ამ ორ დღეში დაზუსტდება. ძირითადი კანდიდატები უკვე შერჩეული გვყავს. გუნდში არიან ჩვენი რესპუბლიკის ცნობილი სპორტსმენები: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი დავით ჩხეიძე, სპორტის ოსტატი ვალერი წიქარიძე (ორივე — საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრია), საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი პაატა შარიპაშვილი. იმედი გვაქვს, რომ ეს სპორტსმენები მათთვის ჩვეული ოსტატობით იასპარეზებენ და ნაკრების სხვა წევრებიც წარმატებით აუბამენ მათ მხარს.

**● ავტოსამოდელო სპორტი ჩვენს რესპუბლიკაში, სამწუხაროდ, არ განეკუთვნება პოპულარულ სახეობათა რიცხვს. „ლელოს" მკითხველებისთვის ალბათ საინტერესო იქნება, რა პრინციპით ტარდება ეს შეჯიბრება და საერთოდ რა არის ავტოსამოდელო სპორტი.**



— რბოლები რადიოსამართავი ავტომოდელებით ტარდება იმავე პრინციპით, რა პრინციპითაც წრიული ავტორბოლები ნამდვილ ავტომობილებს შორის. მათი ტრასაც, ისევე როგორც დიდი რბოლებისა, მრავალი „სახიფათო" ვირაჟისაგან შედგება. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ დიდი რბოლების დროს გასავლელია წრეების გარკვეული რაოდენობა, მოდელების შეჯიბრებისას კი სპორტსმენებს გარკვეული დრო აქვთ მიცემული. მოდელები თვიანთი უფროსი „ძმების" ტიპიური ასლები არიან. ამ ასლებს ქარხნებში ამზადებენ, მაგრამ შეჯიბრებებზე ხშირად შეხვდებით თვითნაკეთ მოდელებსაც.

რადიოსამართავი ავტომოდელები ხუთ კლასად იყოფიან: 1. ნებისმიერი კონსტრუქციის მოდელები ფიგურული სლალომისთვის (ისინი განეკუთვნებიან რცბ კლასის, ავტომოდელებს); 2. ასლი — მოდელები ფიგურული სლალომისათვის (რცა); 3. მოდელები წრიული რბოლებისთვის (რცე). სამივე ამ კლასის მოდელები ელექტროძრავებით მუშაობს, შემდგომი ორი კლასის ავტომოდელებისა კი — შიდაწვის ძრავებით. ესენია F-1 და F-2 კლასის მოდელები წრიული რბოლებისათვის. ამ ორი ტიპის ავტომოდელებს საკმაოდ ძლიერი ძრავები აქვთ და საათში საშუალოდ 100 კმ-მდე სიჩქარეს ავითარებენ.

ეს შეჯიბრებები მეტად საინტერესო და აზარტული სანახაობაა.

**● თქვენ, როგორც მწვრთნელი, რას ფიქრობთ ასეთი საპასუხისმგებლო შეჯიბრების წინ?**

— ვეცდებით დავამტკიცოთ, რომ ისევ ფავორიტებად ვრჩებით.

**ესაუბრა გიორგი ქორქია.**

# გუნდები ერთმანეთს ხვდებიან... საამქრო დარბაზში

**ფიზკულტურელის** საკავშირო დღეს, ბაკურიანის სპორტკომბინატის ბაზაში საწვრთნელ-გამაჯანსაღებელ შეკრებაზე მყოფ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს, ტრამპლინიდან თხილამურებით მხტომელებსა და რესპუბლიკის მოსწავლე მოჭადრაკეთა გუნდს გაცნობის საღამო ჰქონდათ. აქ იყვნენ სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონები, მოჭიდავეები კობა კურტანიძე, ავთანდილ გუბელაძე, ვახტანგ ჯაფარიძე. მათ შეკრებილთ სასპარტაკიადო ბრძოლებზე მოუთხრეს.

მოჭადრაკე ქეთევან კახიანმა ერთდროული თამაშის სეანსი გამართა მოჭიდავეებთან და მოთხილამურეებთან. გამარჯვებული, ცხადია, კახიანი გამოვიდა.

ამ საინტერესო საღამოზე შეკრებილებმა ახალგაზრდა მოჭადრაკეს ქეთევან კახიანს, რომელსაც მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი ავარჯიშებს, წარმატება უსურვეს გოგონათა (16 წლამდე) მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც მალე აიღებს სტარტს შორეულ არგენტინაში.

მასპინძლებმა — სპორტკომბინატის თანამშრომლებმა — სპორტსმენებს სამახსოვრო ალბომი გადასცეს.

სპორტსახკომის ხელმძღვანელობა ბაკურიანში სპორტკომბინატის ბაზაზე რესპუბლიკის ძიუდოისტთა ნაკრებ გუნდს (უფროსი მწვრთნელი დილარ ხაბულიანი) შეხვდა. ხელმძღვანელობა დაინტერესდა ნაკრები გუნდის შეკრების პირობებით, ვარჯიშით და მომავლის გეგმებით.

**სოფიკო ხეთაგაშვილი.**
(„ლელოს" კორ.).

# შრომაც, სპორტიც

**მესხოველის** ტრადიციული დღესასწაული ფიზკულტურელის საკავშირო დღეს დაემთხვა თიანეთში. სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების შემდეგ რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა, საწარმო-დაწესებულებათა ასობით მშრომელი დაესწრო და თვითონ გახდა სპორტული ღონისძიებების უშუალო მონაწილე, საწარმო-დაწესებულებათა სპეციალურ პრიზებზე შეჯიბრებები გაიმართა ქართულ ჭიდაობაში, ცხენოსნობაში, ტანვარჯიშში, ფეხბურთში.

ამ ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი სტუმრები — სპორტული პროფილის მქონე რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის ძიუდოს განყოფილების სპორტსმენები (ხელმძღვანელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ხვთისო წიკლაური). ამ დღეს დიდძალი მაყურებელი მიიზიდა მათმა შერკინებამ ერთმანეთთან და თიანელ მოჭიდავეებთან. მთავარი პრიზი — ბროლის თასი ამავე სკოლის ყოფილ მოსწავლეს, ჩვენი რაიონის მკვიდრს თემურ წიკლაურს გადაეცა.

დიახ, გამარჯვებულები იყვნენ, მაგრამ დამარცხებული არ ყოფილა: ეს იყო ერთი გამორჩეული დღე თიანელი ახალგაზრდებისთვის. მათ ალბათ დიდხანს დაამახსოვრდებათ აკრობატიკის სპეციალიზებული რესპუბლიკური სკოლის წარმომადგენელთა გამოსვლა.

დოღში გამარჯვებული გამოვიდა ტუშურების საბჭოთა მეურნეობის მხედარი რუშან ბოდაველი, რომელსაც სხვებთან ერთად გულშემატკივრობდა დედა — სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული მწველავი, სალომე ბოდაველი.

იმავე დღეს ერთმანეთს შეხვდნენ თიანეთის „იორისა" და საგარეჯოს „კოლმეურნის" ფეხბურთელთა გუნდები. გაიმარჯვეს თიანელებმა.

სპორტული შეჯიბრება ჩატარდა რაიონის სოფლებშიც.

**ა. შენგელია,**
**თიანეთის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.**

## მოკლედ

### ცხრა სახეობაში...

**თბილისის** მაუდ-კამვოლის კომბინატ „ივერიის" სპორტულ ბაზებზე გაიმართა „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" IV სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ტყვიის სროლა, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, შაში, მძლეოსნობა, მინი-ფეხბურთი, სიმძიმეების აწევა, ბაგირის გადაძალვა და თევზჭერა.

ასპარეზობაში გუნდური პირველობა მოიპოვა „საქვენტრემონტის" კოლექტივმა. მეორე ადგილზე გავიდა „სპეცჰელიომონტაჟის" ნაკრები, მესამეზე — რუსთავის ავტოტრანსპორტის სამმართველოს გუნდი. ცალკეულ სახეობებში გამარჯვებულები და პრიზიორები სიგელებით, სამახსოვრო პრიზებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

**ვუბრუნდებით დაბეჭდილს**

**რედაქციას უპასუხებს სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭო**

# „სიტყვა საქმით ფასდება"

## „ქიში"

„ლელოს" 14 მაისისა და 11 ივნისის ნომრებში ასეთი სათაურებით გამოქვეყნებული იყო კრიტიკული წერილები, რომლებიც გარდაბნის რაიონის სოფლებში მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების საკითხს ეხებოდა.

„ლელოს" კრიტიკული გამოსვლების თაობაზე იმსჯელა „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა. სხდომაზე აღინიშნა, რომ „ლელოს" 1986 წლის 14 მაისისა და 11 ივნისის ნომრებში გამოქვეყნებული წერილების შემდეგ პრაქტიკული ნაბიჯებია გადადგმული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

იმ მიზნით, რომ მარტყოფსა და დიდ ლილოში ფართოდ გაიშალოს მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა, პრეზიდიუმის სხდომამ დაადგინა: „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს სპორტულ ნაგებობათა განყოფილებამ (ბ. დოროყაშვილი) მარტყოფში 1987 წლისათვის დაგეგმოს ტიპიური პროექტით სპორტული დარბაზის მშენებლობა, რომელიც 100 ათას მანეთამდე დაჯდება.

განყოფილებამ დიდი ლილოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექციას დახმარება აღმოუჩინოს სპორტული მოედნების კომპლექსის დაპროექტებისა და მშენებლობის საქმეში.

სასწავლო-სპორტულმა განყოფილებამ (გ. გოდერძიშვილი) მარტყოფსა და დიდ ლილოში შაბათ-კვირას მოაწყოს სპორტული ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ გამოჩენილი სპორტსმენები.

სამეურნეო განყოფილებამ (გ. ლეჟავა) მარტყოფის სოფლსაბჭოსა და დიდი ლილოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის განცხადების საფუძველზე გამოყო მათთვის საჭირო სპორტული ფორმა და ინვენტარი ნაღდ ანგარიშზე შესაძენად.

საკავშირო დარგობრივი სამინისტროებისა და პროფკავშირთა კომიტეტების 1978 წლის 7 თებერვლის № 5 ერთობლივი დადგენილებისა და დამტკიცებული დებულების შესაბამისად მარტყოფისა და დიდი ლილოს ყველა სასოფლო ორგანიზაციამ შტატში აიყვანოს საწარმოო ტანვარჯიშისა და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ინსტრუქტორ-მეთოდისტები საწარმოს უსაფრთხოების ასიგნებათა ფონდის სახსრების ხარჯზე და შეუქმნას მათ სათანადო სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობები.

პრეზიდიუმის სხდომამ ცნობად მიიღო მარტყოფის სოფლსაბჭოს აღმასკომის განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოს პირველობაზე სოფლის ფეხბურთელთა გუნდის „აკრიანის" კალენდარული თამაშები პირველი სექტემბრიდან ჩატარდება მარტყოფის პროფტექნიკური სასწავლებლის ახლად შეკეთებულ და კეთილმოწყობილ სტადიონზე.

იმისათვის, რომ მარტყოფსა და დიდ ლილოში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება ვერ უზრუნველყო და სტატისტიკური ანგარიშების შედგენაში მიწერები დაუშვა, „კოლმეურნის" გარდაბნის რაისაბჭოს თავმჯდომარეს ჯ. გაბელიას მკაცრად მიეთითა. მასვე დაევალა აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ნოემბერში ინფორმაციით წარსდგეს პრეზიდიუმის წინაშე.

**ოთარ კალაძე,**
„კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# I ლიგა

[1]3 აგვისტოს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXVIII ტურის მატჩები.

„დინამო“ (ბათუმი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 2:0 (2:0)

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 13 აგვისტო.

„დინამო“: მამინაშვილი, გოგიბერიძე, ანდღულაძე, დურდიაძე, ჩივაძე, ზედანია, კიკლიაშვილი, ...უაშვილი, შელია (მენაბდე), გორგილაძე, მაისურაძე.

„ნისტრუ“: ჩებოტარი, ბელი, კა...ო, ჟურავლიოვი, სიროტიუკი, ...რლატი, ტიუნიკოვი, სირბუ, ...ურა, ვლასენკო, სპირიდონი (...რიი).

მსაჯი ა. სალიმჯანოვი (ტაშკენტი).

კიშინიოველთა გუნდი ოდესღაც ...ლეს ლიგაში გამოდიოდა, მაგრამ მას ახლა მეტად მძიმე პერიოდი აქვს, „ნისტრუ“ პირველი ...გის სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე იმყოფება. კიშინიოველმა ფეხბურთელებმა ვერც ბათუმში აჩვენეს ხეირიანი თამაში და ...ანგარიში მეტი არ იყო, ეს ...ლოდ იმით უნდა ავხსნათ, რომ ...მელები მეორე ტაიმში ზედმეტად ატარებდნენ ბურთს და ერთმანეთს უზუსტოდ ურტყამდნენ კა...

...მასპინძლებს თავიდანვე ჰქონდათ ...ლი უპირატესობა, ჯერ მატჩის ...ველი წუთები მიმდინარეობდა, ...ა შელიამ მიიღო გორგილაძის ...ცემა და დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერად დაარტყა, ჩებოტარმა ვერ შეძლო ბურთის მოგერიება — 1:0.

...9-ე წუთზე შორეული რეიდი ...მოიწყო ჩიქოვანმა, გადააწოდა ...გილაძეს და მანაც ასევე შორი მანძილიდან მეორედ აიღო „ნისტრუს“ კარი.

შესვენების შემდეგ ინიციატივას ...ავ ბათუმელები ფლობდნენ, ...რამ მეტი ბურთის გატანა კიშინიოველთა კარში არ მოხერხდა —

**ოთარ მურვანიძე.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ლანჩხუთის „გურია“ ამ დღეს ...ოსლავლში შეხვდა ადგილობრივ „შინიკს“ და მარცხი განიცადა ...ით 0:2.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „კუზბასი“ (კემეროვო) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 1:0, „ისკრა“ (სმოლენსკი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 0:0, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 5:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „პამირი“ (დუშანბე) 2:1, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — 1:1, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ატლანტასი“ (კლაიპედა) 3:1, ასკ (დონის როსტოვი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:1, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 2:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 1:0.

ლიგის მორიგი ტურის მატჩები გაიმართება 18 აგვისტოს. ლანჩხუთის „გურია“ თავის მინდორზე მიიღებს კემეროვოს „კუზბასს“, ხოლო ბათუმის დინამოელები დუშანბეში ითამაშებენ „პამირთან“.

## გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 14 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დაუგავა“ | 26 | 18 | 6 | 2 | 61-25 | 42 |
| „გურია“ | 27 | 15 | 4 | 8 | 38-32 | 34 |
| ცსკა | 26 | 14 | 5 | 7 | 38-22 | 33 |
| „პამირი“ | 27 | 12 | 9 | 6 | 39-26 | 33 |
| „შინიკი“ | 27 | 13 | 6 | 8 | 25-17 | 32 |
| „დინამო“ ბ. | 27 | 13 | 5 | 9 | 31-30 | 31 |
| ასკ „კარ.“ | 27 | 12 | 7 | 8 | 42-31 | 31 |
| „როსტს.“ | 27 | 11 | 9 | 7 | 45-37 | 31 |
| „როტორი“ | 27 | 14 | 2 | 11 | 40-30 | 30 |
| „ლოკომ.“ | 27 | 11 | 8 | 8 | 37-29 | 30 |
| „კოლოსი“ | 26 | 11 | 7 | 8 | 29-29 | 29 |
| „ფახთაქ.“ | 27 | 11 | 5 | 11 | 34-42 | 27 |
| „მეტალ.“ | 26 | 10 | 5 | 11 | 34-31 | 25 |
| ასკ რ. | 27 | 9 | 7 | 11 | 29-31 | 25 |
| „ფაკელი“ | 27 | 9 | 7 | 11 | 26-28 | 25 |
| „კოტაიკი“ | 27 | 8 | 9 | 10 | 27-25 | 25 |
| „სპარტაკი“ | 27 | 8 | 9 | 10 | 38-37 | 25 |
| „ყუბანი“ | 27 | 7 | 10 | 10 | 24-28 | 24 |
| „დინ.“ სტ. | 27 | 5 | 12 | 10 | 29-33 | 22 |
| „ისკრა“ | 27 | 7 | 7 | 13 | 17-36 | 21 |
| „კუზბასი“ | 26 | 6 | 9 | 11 | 29-40 | 21 |
| ასკ ხ. | 27 | 6 | 7 | 14 | 30-43 | 19 |
| „ატლანტ.“ | 26 | 5 | 6 | 15 | 19-39 | 16 |
| „ნისტრუ“ | 27 | 3 | 5 | 19 | 16-56 | 11 |

# საქართველოს პირველობა

...ავს რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XXII ტურის ...სტიკური მონაცემები.

### ...აღმოსავლეთი ჯგუფი

...ვერია“ (ხაშური) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:1. მსაჯი რ. ტა...შვილი (თბილისი). გოლები: ღა...ძე, ოსაძე („ივერია“), ჯაგო...(„მადნეული“).

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — ...დი“ (თბილისი) 1:2. მსაჯი თ. ...ლიანი (თბილისი). გოლები: ...ძე („მეტალურგი“), ავსაჯანი...ლი, მიქელაშვილი. („იმედი“).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:4. ...ი თ. ლაცაბიძე (თბილისი). გოლები: მეზუკე (ფიზკ. ინსტ.), სო...ლი, ხუცურაული, იორამაშვილი, სოლოლაშვილი („არმაზი“).

...ეში თამაშისთვის გააფრთხილეს „არმაზის“ ფეხბურთელი ჰ. ...ულაშვილი.

### ...ავლეთი ზონა

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 2:0. მსაჯი მ. ჰელ... (თბილისი). გოლები: შონია, ...ბავა („ეგრისი“).

...ის სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააძევეს „იმერეთის“ ფეხბურთელი დ. ჰუმბურიძე.

„მერცხალი“ (მახარაძე) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:0. მსაჯი ვ. ...ანი (თბილისი). გოლები: დო...როყვა („მერცხალი“).

...ეში თამაშისთვის გააფრთხილეს მახარაძელი ვ. ჩხაიძე, ხოლო ...დელი ქ. ქუკავა — მსაჯის ...ვეტილების აპელაციისთვის. ...დან გააძევეს ზუგდიდელი ფეხბურთელი ო. თუთბერიძე, ...მაც გინებით მიმართა მეტ...

„...ლორი“ (ვანი) — „დინამო“ (გაგრა) 2:1. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი). გოლები: ორმოცაძე, ვერულაშვილი („სულორი“), კვარაცხელია („დინამო“).

„შადრევანი“ (წყალტუბო) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 3:2. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი). გოლები: კუხიანიძე-2, ხარაბაძე („შადრევანი“), მახარაძე-2 („ბახმარო“).

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:0. მსაჯი ტ. ნოშნიანიძე (თბილისი). გოლები: ბართია, ჭუბაბრია („სალხინო“).

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 1:0. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი). გოლი: რუხაძე („საპოვნელა“).

### II ლიგა

**აღმოსავლეთი ზონა:** „თრიალეთი“ (წალკა) — „განთიადი“ (კასპი) 4:2, „კოლმეურნე“ (მარნეული) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 2:1, „სამგორი“ (გარდაბანი) — „მშენებელი“ (რუსთავი) 0:0, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „ალგეთი“ (მარნეული) 0:0, „სიონი“ (დმანისი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 3:7, „მუხნარი“ (მუხრანი) — „არაგვი“ (დუშეთი) 2:1, „შირაქი“ (წითელი წყარო) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 1:1.

**ცენტრალური ზონა:** „თორი“ (ბორჯომი) — „იბერია“ (ქარელის რ-ნი) 2:0, „მშენებელი“ (ჭიათურა) — „აბული“ (ახალქალაქი) 2:3, პოლიტექნიკური ინსტიტუტი — „მესხეთი“ (ახალციხე) 1:0, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „ხვამლი“ (ცაგერი) 9:0, „იმერეთი“ (წულუკიძე) — „ლიახვი“ (ცხინვალის რ-ნი) 3:1, „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 0:0.

ის. გვ.-4 გვ.

გვიმრავლოს!

# სასწაული ორ თვეში მოხდა

რამდენიმე შტრიხი თანამედროვე კოლმეურნეობის თავმჯდომარის პორტრეტისთვის

**ბევრი რამ შეუძლია კაცს, თუ საქმეს გულით მოეკიდება. თუმცა მარტო ეს არ კმარა, იმის უნარიც უნდა გქონდეს, სხვაც დააჯერო, დაარწმუნო, აიყოლიო.**



ლაგოდეხის რაიონის ცოდნისკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ნუგზარ კაკიაშვილი იანვარში დანიშნეს. ახალგაზრდა თავმჯდომარეს · ყველაფერი რიგზე როდი დახვდა, მაგრამ სიძნელემ ვერ შეაშინა. ნუგზარი მეზობელი სოფლის, ვარდისუბნის მკვიდრი იყო და საქმეს ეს ართულებდა. დიახ, ძნელია იმ ხალხის თავკაცობა, ვის გვერდითაც გაიზარდე და დავაჟკაცდი, მაგრამ ნუგზარ კაკიაშვილმა შეძლო ეს, მაღალფარდოვანი სიტყვების გარეშე გააცნო თანასოფლელებს სამომავლო გეგმები, ზოგიერთს კი პირადად ელაპარაკა. სოფელმაც გაუგო, დაუჯერა, რადგანაც ახალგაზრდა კაცში სოფლის მომავლისთვის მზრუნველი დაინახა.

თავმჯდომარის პირველი და ყველაზე დიდი საზრუნავი ის იყო, რომ ახალგაზრდებს სოფლად არ მოწყენოდათ, მოგეხსენებათ, ამის ერთ-ერთი მიზეზი კულტურული დაწესებულებების ნაკლებობაა და



ნუგზარმაც გადაწყვიტა სწორედ ამ მხრიდან შემოევლო საქმისთვის.

დაადგინეს პირველ რიგში სპორტული კომპლექსი აეშენებინათ... საკუთარი ძალებით. გამოცდილების გასაზიარებლად ყვარლის რაიონის სოფელ საბუეს სპორტულ კომპლექსს ეწვივნენ.

და აი, 14 აპრილს ცოდნისკარში სპორტული კომპლექსის მშენებლობა დაიწყო. თავმჯდომარეს იმთავითვე მხარში ამოუდგნენ კომკავშირის მდივანი ბესიკ ცეცხლაძე, ფიზკულტურის მეთოდისტი ნოდარ კაკაშვილი და კომპლექსის კომენდანტი, სპორტის დიდი გულშემატკივარი ნასყიდა ნაცვლიშვილი. ცხადია, მათ თავიდანვე დაუჭირა მხარი რაიონის ხელმძღვანელობამ.

მშენებლობაში მთელი სოფელი მონაწილეობდა, მიუხედავად ამისა, ამ ოთხ კაცს დაადგა დიდი ჯაფა.

ახალგაზრდა თავმჯდომარეს სპორტული კომპლექსის გარდა, ცხა-



დია, უამრავი საქმე ჰქონდა. განა იმას მოუწონებდა ვინმე, კოლმეურნეობის ყოველდღიური საზრუნავი რომ განზე გადაედო და სპორტულ კომპლექსს გადაჰყოლოდა?

საერთო ენთუზიაზმმა თავისი გააკეთა. ძირითადი სამუშაოები მაისის ბოლოს დაამთავრეს ცოდნისკარელებმა — გადახნეს, მოასწორეს მოედანი და ბალახიც დათესეს.

მარტო სპორტული კომპლექსისთვის არ შეულევიათ ძალა. ექვსი თვის საერთო მაჩვენებლებით კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა გეგმა და გასულ წელთან შედარებით მეტი პროდუქცია ჩააბარა სახელმწიფოს.

9 აგვისტოს, ფიზკულტურელის საკავშირო დღეს, სპორტული კომპლექსი საზეიმოდ გაიხსნა.

— „ერთად შეკრებილი ამდენი ხალხი, ასეთი დიდი ზეიმი და სიხარული არ მახსოვს ცოდნისკარში“. — გვითხრა მოგვიანებით ამ სოფლის მკვიდრმა, სოციალისტური შრომის გმირმა ელენე გორგაძემ.

სპორტული კომპლექსის გახსნას არა მარტო ერთი სოფელი, მთელი რაიონი ზეიმობდა. ტრიბუნებზე ჯერჯერობით 2 ათასი კაცი ეტევა, ხუთი ამდენი მთელი სამი საათი ფეხზე მდგარი უყურებდა სპორტულ სარბიელზე გამოსულთ. ზეიმი დააგვირგვინა თბილისის „დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელებსა და ლაგოდეხის „ჰერეთს“ შორის გამართულმა მატჩმა. მაყურებელი მხურვალე ტაშით მიესალმა სლავა მეტრეველს, ზაურ კალოევს, ნოდარ ხიზანიშვილს, ილია რუხაძეს, ვახტანგ ქორიძეს, რამაზ ურუშაძეს, მერაბ ასიტაშვილს, თამაზ სახვაძეს, დავით ხუნდაძეს, მალხაზ შერგელაშვილს, ლევან ნოდიას.

შეხვედრა ანგარიშით 3:2 ვეტერანებმა მოიგეს.

ბევრი ფეხბურთის მოყვარული ქართულმა ჭიდაობამ გადაიბირა — ისინი დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს საბრძოლველად შემართულ ბიჭებს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნუგზარ კაკიაშვილი ძლივს დავიმარტოხელე. მივულოცე სპორტული კომპლექსის გახსნა და ვთხოვე ახალი სპორტული სარბიელის პერსპექტივაზე ეთქვა ორიოდე სიტყვა.

— ჩვენს სპორტულ კომპლექსში ჯერჯერობით შედის ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთისა და ჭიდაობის მოედნები. წლის ბოლოსთვის დამთავრდება საცურაო აუზი (50X25) და „ტანვარჯიშული ქალაქი“. სექტემბერში გავხსნით ფეხბურთის, ფრენბურთის და ქართული ჭიდაობის სექციებს. ბრიგადებს შორის უკვე ვიწყებთ შეჯიბრებას ფეხბურთში. გვინდა ჩვენმა კოლმეურნეობის ნაკრებმა მომავალ წელს საქართველოს ზონალურ პირველობაზე ითამაშოს. ჩვენი მიზანია კომპლექსი სოფლის მშრომელების და ახალგაზრდების ჯანმრთელობის კერად გადავაქციოთ.

დიახ, „სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია“.

**ჯემალ კასრაძე,**
„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი.
სოფ. ცოდნისკარი.
ლაგოდეხის რაიონი.





სიახლეთა ესტაფეტა

# ფეხბურთელობაზე ოცნება რომ გაგრძელდეს

„დამეთანხმებით, ძნელია თხუთმეტი წლის ასაკში გამოეთხოვო ფეხბურთელობაზე ოცნებას. ეს გაითვალისწინეს ლენინგრადში და ბიჭებს შესაძლებლობა მისცეს გაეგრძელებინათ თავიანთი საყვარელი საქმე. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია ის, რომ ბიჭებს აღარ რჩებათ ქუჩაში უქმად ხეტიალის დრო, ქალაქში მკვეთრად იკლო მოზარდთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა რიცხვმა" — ეს სიტყვები საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს გავრილ კაჩალინს ეკუთვნის. ასეთი კომენტარი გაუკეთა მან ლენინგრადის კომკავშირის კიროვის რაიკომის წამოწყებას, რომელიც ყოველ კვირა დღეს, ქალაქის სხვადასხვა სტადიონზე, მცოცავი გრაფიკით ატარებს ტურნირებს მინი-ფეხბურთში. ამ შეჯიბრებებში ასაკობრივი შეზღუდვა დაწესებული არ არის. თამაშობს ყველა, ვისაც უყვარს ფეხბურთი და უნდა ითამაშოს. სტანდარტულ მოედანზე ერთდროულად სამი მატჩის გამართვა შეიძლება. ერთი დღის განმავლობაში ეწყობა წინასწარი შეხვედრები, ნახევარფინალები და ფინალები. გამარჯვებულებსაც აქვე აჯილდოებენ.

მკითხველი ალბათ დაგვეთანხმება, რომ მშვენიერი წამოწყებაა.

თბილისშიც ნახავთ ყველა ასაკის ფეხბურთის მოყვარულებს, რომლებიც თავდავიწყებით დასდევენ ბურთს ყველგან, ეზოებში, მარტივი ტიპის მოედნებზე, ზოგი ქალაქგარეთაც მიდის... ამიტომ, ჩვენი აზრით, ურიგო არ იქნებოდა ლენინგრადელებისთვის მიგვებაძა. მთავარია მოიძებნოს ორგანიზაცია, რომელიც ინიციატივას გამოიჩენს. ამით ყველა მოიგებს: სრული დატვირთვით იმუშავებენ სტადიონები, ფეხბურთის მოყვარულებს ეცოდინებათ, სად მივიდნენ გარკვეულ დროს და, ბოლოს, მწვრთნელებს შესაძლებლობა მიეცემათ ამ ტურნირებშიც შეარჩიონ ნიჭიერი მოთამაშეები.

## საქართველოს პირველობა

(დასასრული)

**დასავლეთი ზონა.** „მეშახტე" (ტყვარჩელი) — „კოლხეთმშენი" (ფოთი) 2:1, „ნაპერწკალი" (ოქუმი) — „ჩიბათი" (ლანჩხუთი) 0:3, „ოდიში" (ზუგდიდის რ-ნი) — „ნარინჯი" (ქობულეთი) 5:1, „სუბტროპიკი" (სოხუმი) — „ნარინჯი" (გონიო) 1:0, „დინამო"-2 (ბათუმი) — „მზიური" (გალი) 0:2, „ალიონი" (გალი) — „კოლხეთი" (ხობი) 3:0.

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 14 აგვისტოსთვის

**აღმოსავლეთი ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" | 21 | 14 | 3 | 4 | 35-20 | 31 |
| „შევარ"-სპი | 19 | 13 | 3 | 3 | 45-20 | 29 |
| „მადნეული" | 22 | 12 | 2 | 8 | 47-32 | 26 |
| ფიზკ. ინს. | 20 | 9 | 4 | 7 | 32-27 | 22 |
| „კახეთი" | 20 | 9 | 3 | 8 | 27-31 | 21 |
| „დურუჯი" | 21 | 8 | 4 | 9 | 15-26 | 20 |
| „არმაზი" | 20 | 7 | 6 | 7 | 33-30 | 20 |
| „სპარტაკი" | 19 | 9 | 1 | 9 | 20-24 | 19 |
| „ივერია" | 21 | 8 | 3 | 10 | 20-25 | 19 |
| „ქართლი" | 19 | 7 | 4 | 8 | 10-19 | 18 |
| „იმედი" | 19 | 5 | 7 | 7 | 15-24 | 17 |
| ასკ თბ. | 19 | 4 | 2 | 13 | 12-33 | 10 |

**დასავლეთი ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამეგრელო" | 20 | 11 | 3 | 6 | 28-15 | 25 |
| „სალხინო" | 21 | 10 | 4 | 7 | 33-27 | 24 |
| „დინამო" ზ. | 21 | 11 | 1 | 9 | 49-31 | 23 |
| „სულორი" | 20 | 10 | 3 | 7 | 32-23 | 23 |
| „ეგრისი" | 20 | 9 | 5 | 6 | 29-32 | 23 |
| „შადრევანი" | 20 | 11 | 0 | 9 | 39-32 | 22 |
| „საპოვნელა" | 21 | 10 | 2 | 9 | 33-32 | 22 |
| „დინამო" გ. | 20 | 9 | 4 | 7 | 34-30 | 22 |
| „მერცხალი" | 20 | 9 | 2 | 9 | 28-19 | 20 |
| „სქური" | 20 | 9 | 2 | 9 | 27-36 | 20 |
| „ამირანი" | 20 | 8 | 3 | 9 | 22-32 | 19 |
| „იმერეთი" | 21 | 4 | 4 | 13 | 16-32 | 12 |
| „ბახმარო" | 20 | 4 | 1 | 15 | 14-43 | 9 |

## სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა. 15 აგვისტო. „ლოკომოტივის" სტადიონი. „იმედი" (თბილისი) — „შევარდენი" სპი (თბილისი).** დასაწყისი 19 ს.

## „ოქროს ოვალი" თბილისში

**გუშინ** საღამოს თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა ჟურნალ „სპორტივნიე იგრის" პრიზის „ოქროს ოვალის" საკავშირო გათამაშების ფინალური ტურნირი რეგბიში. თბილისში საასპარეზოდ შეიკრიბა ზონალურ ტურნირებში გამარჯვებული 14-15 წლის რეგბისტთა 9 კოლექტივი: „სპარტაკი", „ფილი", „ლოკომოტივი" და ზელინოგრადის რაიონის გუნდი (ოთხივე მოსკოვი), კრასნოიარსკის, მოლდავეთის, უზბეკეთისა და ლენინგრადის გუნდები. მათთან ერთად იასპარეზებენ მასპინძლები — თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტსკოლის რეგბისტები.

დილით „სინათლის" სტადიონზე გამართული ტურნირის პირველი შეხვედრები ასე დამთავრდა: მოსკოვის „ლოკომოტივი" — უზბეკეთი 19:6, ლენინგრადი—ზელინოგრადი 30:0, კრასნოიარსკი — მოლდავეთი 41:0. საღამოს, „ლოკომოტივის" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის განათლების სამმართველოსა და მოსკოვის „სპარტაკის" ჭაბუკი რეგბისტები. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 17:0.

### გფრ-ის ნაკრების 11 მატჩი

გფრ-ის ნაკრები, როგორც ევროპის 1988 წლის ჩემპიონატის მასპინძელი, შესარჩევი მატჩებისგან გაათავისუფლეს. გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ფრანც ბეკენბაუერმა ჟურნალისტებთან ილაპარაკა იმ ამხანაგურ შეხვედრებზე, რომელსაც მისი გუნდი ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ჩაატარებს.

24 სექტემბერს გფრ-ის ნაკრები კოპენჰაგენში დანიელებს შეხვდება, 15 ოქტომბერს ჰანოვერში — ესპანელებს, 29 ოქტომბერს ვენაში — ავსტრიელებს.

**1987 წლის 25 მარტს გფრ-ის ნაკრები თბილისში ეთამაშება საბჭოთა კავშირის ნაკრებს.** 18 აპრილს კიოლნში ჩაატარებს მატჩს იტალიელებთან, 29 აგვისტოს მიუნჰენში ისევ საბჭოთა კავშირის ნაკრებს შეხვდება, 9 სექტემბერს დიუსელდორფში — ინგლისელებს, 23 სექტემბერს ჰამბურგში — ისევ დანიელებს.

1988 წლის პირველი ნახევრისთვის დანიშნულია სამი შეხვედრა. 23 მარტს შვეიცარიელებთან (სად — ეს მოგვიანებით გახდება ცნობილი) და კიდევ ორი მატჩი, რომელთა შესახებ მოლაპარაკება მოგვიანებით შედგება.

### მლადენოვმა შეცვალა ვუცოვი

ხრისტო მლადენოვი, რომელიც აქამდე სოფიის „სლავიას" ედგა სათავეში, ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს გადამდგარი ივან ვუცოვის ნაცვლად.

### მკაცრი სანქციები

პორტუგალიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები წარუმატებლად გამოვიდა მექსიკის განვლილ მსოფლიო ჩემპიონატზე, მან წინასწარ ჯგუფში წააგო პოლონეთისა (0:1) და მაროკოს (1:3) გუნდებთან, გაიმარჯვა მხოლოდ ინგლისელებთან (1:0) და მერვედფინალში ვერ მოხვდა. პორტუგალიელებმა XIII ჩემპიონატში მხოლოდ მე-17 ადგილი დაიკავეს, რამაც ამ ქვეყნის საზოგადოებრიობის დიდი აღშფოთება გამოიწვია.

ამასთან დაკავშირებით მკაცრ სანქციებს მიმართა პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ. მან ნაკრებში თამაში აუკრძალა რვა ფეხბურთელს, რომელთა შორის არიან ცნობილი ოსტატები ბენტუ, კარლუშ მანუელი და დიამანტინუ („ბენფიკა"), ანდრე და პინტუ („პორტუ"), ანტონიუ ჟოზე და სორბინო („ბელენენსეში"), აგრეთვე, ჟაიმი პაშეკუ („სპორტინგი"). თავისი ეს მკაცრი გადაწყვეტილება ფედერაციამ იმით დაასაბუთა, რომ ზემოხსენებულმა ფეხბურთელებმა არად ჩააგდეს ნაკრების ინტერესები, ზურგი შეაქციეს თავიანთი ქვეყნის სპორტულ საზოგადოებრიობას.

ფედერაციამ ფეხბურთელებს გაუხსენა, რომ მათ სწორედ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ „მოისურვეს" ორკვირიანი გაფიცვა, მოითხოვეს პრემიები და მხოლოდ ამის შემდეგ დათანხმდნენ მექსიკაში თამაშს. ნაკრებში არ იყო მეგობრული განწყობილება და ერთიანი სულისკვეთება, ამის შედეგად გუნდმა სუსტად ითამაშა და შერცხვენილი დაბრუნდა შინ.

საინტერესოა, რომ თვით ის კლუბები, სადაც ზემოჩამოთვლილი ფეხბურთელები გამოდიან, არც კი გამოესარჩლნენ თავიანთ მოთამაშეებს. ეტყობა, რახან დისკვალიფიკაცია მხოლოდ ნაკრებში მონაწილეობას ეხება და არა კლუბებს, მათ მიიჩნიეს, რომ ფეხბურთელებმა თვითვე უნდა იზრუნონ ნაკრების ამბებზე, კლუბებში თამაშს კი არც ბენტუს, არც დიამანტინოს და არც სხვებს არავინ უშლის...

მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის ამ მკაცრმა გადაწყვეტილებამ პორტუგალიის პარლამენტის წევრთა გულისწყრომა გამოიწვია, ამიტომ ისინი წინ აღუდგნენ ფედერაციის სანქციებს, საპროტესტო საპარლამენტო ჯგუფს მ. ალეგრე ხელმძღვანელობს. მან პრესაში განაცხადა, რომ ფედერაციამ აშკარად გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას, საკუთარ უუნარობას და უქნარობას იგი სხვებს აბრალებს. მ. ალეგრე კატეგორიულად ამტკიცებს: „ფედერაციის დადგენილება მკვეთრად ეწინააღმდეგება პორტუგალიის კონსტიტუციას, ამიტომ იგი სასწრაფოდ უნდა გადაისინჯოს და შეიცვალოს".



ერთი სიტყვით, პორტუგალიის პარლამენტი ახლო ხანებში განიხილავს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებას მოთამაშეთა დისკვალიფიკაციის შესახებ.

### პირველი — მარადონა

**იტალიაში** ჩატარდა კონკურსი, რომელსაც ქვეყნის პირველი ლიგის საუკეთესო მოთამაშე უნდა გამოევლინა. კონკურსის ჟიურიში იყვნენ მწვრთნელები, წარსულში გამოჩენილი ფეხბურთელები: მაცოლა, ფაკეტი, ბონისენია, მალდინი, ალტაფინი, კუდიჩინი და სხვები.

ლიგის პირველ ფეხბურთელად (ხმების სოლიდური უპირატესობით) აღიარებულია მარადონა („ნაპოლი") — 31. შემდეგ მოდიან: პლატინი („იუვენტუსი") — 18, ელკიაერ-ლარსენი (ვერონის „ელასი") — 14, გალი („მილანი" და ლაუდრუპი („იუვენტუსი") — 12, რუმენიგე („ინტერი") — 10. ჟიურის წევრებმა, სამის გამოკლებით, პირველ ფეხბურთელად მარადონა დაასახელა. მათი აზრი არ გაიზიარეს მხოლოდ კასტანერმა (მან ლაუდრუპი დაასახელა), მალდინიმ (ელკიაერ-ლარსენი) და კაროზიმ (გალი).

### გულშემატკივართა დუელი

**მსოფლიოს** მე-13 ჩემპიონატი ფეხბურთში კარგა ხანია დამთავრდა, მაგრამ მექსიკაში ჯერ კიდევ დავობენ მის პერიპეტიებზე. მეხიკოს ფაბრიკა „ლა ლაგუნას" ორმა თანამშრომელმა ვერაფრით ვერ გამოძებნა საერთო ენა რაღაც საკითხზე, ამიტომ მათ გადაწყვიტეს თავიანთი „პრინციპული" დავა დუელის საშუალებით გადაეჭრათ, ისინი სასწრაფოდ გავიდნენ ფაბრიკის ეზოში, გადაზომეს რამდენიმე ნაბიჯი ერთმანეთის დაცილებით და პისტოლეტები ამოიღეს...

ორივე დუელანტი მძიმე მდგომარეობაში მოათავსეს საავადმყოფოში.

### ხულიგნობას ბოლო არ უჩანს

ინგლისელ ფეხბურთის გულშემატკივრებზე კარგა ხანია ლეგენდები დადის. ჩვენ უკვე კარგად ვიცით ინგლისელი გულშემატკივრების თავშეუკავებელი, აღვირახსნილი საქციელი არა მარტო შინ საკუთარი ქალაქების სტადიონებზე, არამედ უცხოეთშიც, სადაც ისინი სისტემატურად თან დაჰყვებიან თავიანთ გუნდებს. რა ზომებს არ მიმართავენ საერთაშორისო ფეხბურთის გამგებელი ორგანოები, პოლიცია — დამნაშავეებს ატუსაღებენ, დიდი თანხით აჯარიმებენ, ინგლისურ კლუბებს დისკვალიფიკაცია მისცეს, მაგრამ გულშემატკივართა ალაგმვა არაფრით არ მოხერხდა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სააგენტო დპა იუწყება, რომ სულ ახალხან ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად ჰოლანდიას გაემგზავრნენ ინგლისის ცნობილი კლუბები „ლივერპული", „ევერტონი" და „მანჩესტერ იუნაიტედი", კლუბებს თან გაჰყვნენ ბრიტანელი გულშემატკივრებიც, რომლებმაც ჰოლანდიის თვითმავალ გემ-ბორანზე, ჩვეულებისამებრ, მასობრივი დებოში მოაწყეს.

დაიძრა თუ არა გემი, ერთ-ერთ ბარში ჩხუბი ატყდა, სულ მალე კი გამძაფრებულ მუშტი-კრივში უკვე 150 გულშემატკივარი მონაწილეობდა. ჩხუბმა კატასტროფული ხასიათი მიიღო, მრავლად იყვნენ მძიმედ დაჭრილები, დასახიჩრებულნი, ბორანის კაპიტანი იძულებული იყო უკან გამობრუნებულიყო და კვლავ ინგლისის პორტში ჩაეშვა ღუზა. მისი განკარგულებით ხულიგნები ბარში ჩაკეტეს და ინგლისის პოლიციას გადასცეს. დებოშიორთა დიდი ჯგუფი დაპატიმრებულია და სამსჯავროს ელის.

### მეზეი კუვეიტში იმუშავებს

დიერდ მეზეი, რომელიც ჯერ კიდევ ივლისის დასაწყისში გადადგა უგრეთის ნაკრების მწვრთნელის პოსტიდან, ამიერიდან კუვეიტის ეროვნული ნაკრების მწვრთნელად იმუშავებს.

### ექსპერიმენტები

ჰოლანდიის ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელიც 16 აგვისტოს იწყება, ამიერიდან თავისებური, ექსპერიმენტული სისტემით ჩატარდება.

ჩემპიონატი 4 პერიოდისგან შედგება. თითოეულ ამ პერიოდში გამარჯვებული „მინიჩემპიონები" გადამწყვეტ ორწრიან ტურნირში შეხვდებიან ერთმანეთს და ქვეყნის 1986-1987 წლების ჩემპიონი ამ გზით გამოვლინდება.

• • •

საინტერესო ექსპერიმენტი განხორციელდება ესპანეთის ჩემპიონატშიც. ტრადიციული ორწრიანი შეჯიბრების დამთავრების შემდეგ პირველ 6 ადგილზე გამოსული გუნდები დამატებით იასპარეზებენ. ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელებს სწორედ ეს დამატებითი შეჯიბრება გამოავლენს.

### პლატინი ორი თვით „ისვენებს"

ტურინში გამოცხადდა, რომ საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი მიშელ პლატინი, რომელმაც გააგრძელა ხელშეკრულება „იუვენტუსთან", ორი თვის მანძილზე არ ითამაშებს იმის გამო, რომ დაშავებულია და მკურნალობა სჭირდება.

# მდგომარეობ... დაიძაბ...

**ქუთაისი, 13 აგვისტო (ტელ... ფონით, „ლელოს" საკუთარი კ... რესპონდენტი).** სსრ კავშირის მ... ჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის ნახ... ვარფინალურ ტურნირში უკვე ექ... სი ტური გაიმართა. მდგომარეო... დღითიდღე იძაბება. ალბათ ამ... შედეგია ის, რომ ბოლო ორ ტ... რში ცხრა პარტია, მათ შორის ლ... დერების — ქეთევან არახამიასა ... ჰენრიეტა ლაგვილავას — შეხვედ... დაუმთავრებელი დარჩა. თუმ... ამ პარტიის ბედი, შეიძლება ით... ქვას, უკვე გადაწყვეტილია — არ... ხამიას ძალზე დიდი უპირატესო... აქვს. სპეციალისტთა აზრით, ს... ქართველოს ექსჩემპიონი თამაშ... განუახლებლად დანებდება მეტ... ქეს. გადაიდო ალიოხინა — ეშჩ... კოს, სტრუტინსკაია — ლომაკინ... სა და სედინა — ბოტვინიკის პა... რტიებიც.

ზედიზედ მეორედ დამარცხდა მო... სკოველი დიდოსტატი ელენა ფათ... ლიბეკოვა. VI ტურში მას ალმ... ათელმა ფლორა უსკოვამ სძლ... კვლავ დამარცხდა დუშანბელი ლ... ლა ნასიროვა — ამჯერად კრასნო... იარსკელ ირინა კულიშთან. მზ... წერეთელისა (მახარაძე) და ქეთევ... მელაშვილის (თბილისი) პარტია ყ... იმით დამთავრდა.

ამრიგად, ექვსი ტურის შემდ... დაწინაურდა უსკოვა — 3,5 (2). შ... მდეგ მოდიან არახამია, ლაგვილავ... — 3,5-3,5 (1-1), ნატალია ალიო... ხინა (მოსკოვის ოლქი) — 3 (2... წერეთელი, ელენა სედინა (კიევ... — 3-3 (1-1). ქეთევან მელაშვილ... ჯერჯერობით ქულანახევარი აქვს.

**თამაზ ხარაბაძ...**

რედაქტორის მოადგილ...
თ. გაჩეჩილაძ...

რესპუბლიკური გაერთიანება „სპორტსაქონელი" 16 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე თბილისის სპორტის სასახლის წინ სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით აწყობს სასკოლო სპორტული საქონლის გამოფენა-გაყიდვას. გაიყიდება: სპორტული კოსტიუმები (ბამბის, შალის და ნახევრად შალის), სპორტული შარვლები, საბანაო და საქიდაო ტრუსები, ქართული ჭიდაობის ჩოხები, სპორტული ფეხსაცმელი, კედები, ბოტასები... ბურთები, სატურნიკები, ტრენაჟორები, სხვა სპორტული ინვენტარი, ველოსიპედები, მოტოციკლები (მათ შორის — „იავას" მარკისა), სათევზაო მოწყობილობა, ნავები, წყლის ველოსიპედები...

სპორტის სასახლის მარცხენა ფასადის მხარეს ტრადიციულად ავტომოყვარულებისათვის გაიყიდება ავტო-მოტო-ველო სათადარიგო ნაწილები, მისაბმელები, ავტოგარაჟის კარები და ა. შ.

ბაზრობა იმართება ყოველდღე 10-დან 19 საათამდე.

**გაერთიანება „სპორტსაქონლის" დირექცია**

16-17-18 აგვისტოს თბილისის სპორტის სასახლეში ტარდება საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება (მესამე ეტაპი) კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. მონაწილეობენ: ცსკა, კიევის ასკ, კიშინიოვის „მოლდოვა" და თბილისის „დინამო".

დასაწყისი 18 საათსა და 30 წუთზე.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07612